ნინო ფეტვიაშვილი

რუსული ენის ექსპერტ-კონსულტანტი,

სსიპ მასწავლებელთა პროფესიული განვითარების

ეროვნული ცენტრი

მასტერ კლასი

ეროვნულ უმცირესობათა ენების მშობლიური ენისა და ლიტერატურის

(რუსული ენის) მასწავლებელთათვის

მასწავლებელთა საქმიანობის დაწყების, პროფესიული განვითარების და კარიერული წინსვლის სქემის ერთ-ერთი ამოცანა მასწავლებელთა პროფესიული განვითარების სტიმულირებაა. პროფესიული განვითარებისაკენ მიმართული აქტივობები განსაკუთრებით ეფექტიანია მაშინ, როცა ისინი ეფუძნება მასწავლებელთა კონკრეტულ პროფესიულ და საგნობრივ საჭიროებებს მოცემულ მომენტში და აისახება მოსწავლეთა შედეგებზე.

ეროვნული უმცირესობათა ენების მშობლიური ენისა და ლიტერატურის სწავლება დღევანდელ დღეს პრობლემური საკითხია. არ არსებობს სახელმძღვანელოები, რომლებიც ესგ-ის სტანდარტის შესაბამისია, მასწავლებლები ნაკლებად იცნობენ სტანდარტს.

მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ეროვნული ცენტრის მიერ ჩატარებული კვლევის შედეგების ანალიზის საფუძველზე გამოიკვეთა ამ საგნის პედაგოგთა სხვა საჭიროებებიც, რომელთა გათვალისწინებით გთავაზობთ მასტერკლასს ეროვნული უმცირესობათა ენების მშობლიური (რუსული) ენისა და ლიტერატურის მასწავლებელთათვის.

მასტერკლასის შედეგად:

- მონაწილეები გაეცნობიან ეროვნული უმცირესობათა ენების სასწავლო გეგმას;
- მონაწილეები გაეცნობიან და პრაქტიკულად განახორციელებენ ინტერაქტიური სწავლების მეთოდებს და მათთვის პრობლემურ საკითხებთან დაკავშირებით მიიღებენ რეკომენდაციებს.
- მონაწილეები გააანალიზებენ აქტივობებს ორი პოზიციიდან - მოსწავლეების და მასწავლებლების.
- იმსჯელებენ აქტივობების აქტუალობაზე, შესაძლო რისკებზე და მათი თავიდან აცილების გზებზე.